ტურიზმის პოლიტიკის გამტარებელ საერთაშორისო, სამთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა

მარინა მეტრეველი
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი,
E-mail: metrevelimarina7@gmail.com
გიორგი ჯაბნიძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: Giorgi.Jabnidze@terabank.ge

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ზოგადი და დარგობრივი საერთაშორისო და რეგიონული ტურისტული ორგანიზაციები, აგრეთვე სპეციალიზებული და საგანგებო ორგანიზაციები, რომლებიც ტურისტულ სივრცეს წარმოქმნიან. სტატიაში მოცემულია მიზნების, ამოცანებისა და საქმიანობის სფეროთა დახასიათება ისეთი ტურისტული ორგანიზაციებისა როგორიცაა: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO), საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (International Air Traffic Association – IATA), აზიისა და წყნარი ოკეანის ტურისტული ასოციაცია (PATA), ევროპის სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების ეროვნულ ასოციაციათა კონფედერაცია (HOTREC), სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია (OITS-ISTO), ტურიზმის დარგში მოღვაწე ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაცია (FIJET) და ხელმისაწვდომი ტურიზმის ევროპული ქსელი (ENAT).

კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები, რომელთა შორის მთავარს წარმოადგენს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციებში განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის როლის ამაღლება. ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ზრდაში მნიშვნელოვანი როლის თამაში დაიწყეს სპეციალიზებულმა და საგანგებო ტურისტულმა ორგანიზაციებმა.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია, აზიისა და წყნარი ოკეანის ტურისტული ასოციაცია, ევროპის სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების ეროვნულ ასოციაციათა კონფედერაცია, სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია, ტურიზმის პოლიტიკა.

შესავალი

ერთიანი ტურისტული სივრცის ჩამოყალიბებამ განაპირობა ტურისტული საქმიანობის საერთაშორისო მართვა და რეგულირება. ტურიზმისა და მოგზაურობათა გლობალურმა განვითარებამ, რომელმაც წარმოშვა, ტურისტული საქმიანობის გავრცელება სახელმწიფოთა ეროვნული საზღვრების მიღმა შექმნა და კვლავ ქმნის ტურიზმის განვითარების საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციების ჩამოყალიბების აუცილებლობას. ასეთი ორგანიზაციები განსაზღვრავენ ტურიზმის განვითარების ძირითად მიმართულებებს მსოფლიოში, შეიმუშავებენ ტურისტული საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს,ადგენენ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს, ხელს უწყობენ ქვეყნების თანამშრომლობას ტურიზმის სფეროში და ზემოქმედებენ სახელმწიფოების ეროვნულ ტურისტულ პოლიტიკაზე.

ნაშრომის შესრულების მიზანს წარმოადგენს ტურიზმის პოლიტიკის ღონისძიებათა გამტარებელი ორგანიზაციების საქმიანობის დახასიათება და გაანალიზება. მოცემული მიზნის განხორციელებისთვის დასახული გვაქვს შემდეგი ამოცანები:

- ზოგადი და დარგობრივი ტიპის საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების მიზნებისა და მათი ამოცანების გაანალიზება;
- ზოგადი და დარგობრივი ტიპის რეგიონული ორგანიზაციების მიზნებისა და მათი ამოცანების გაანალიზება; და

- სპეციალიზებული და საგანგებო ორგანიზაციების საქმიანობის დახასიათება და შეფასება.

ნაშრომი ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების, პროგრამებისა და კვლევითი პროექტების მათ შორის: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის(UNWTO), საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (International Air Traffic Association – IATA), ტურიზმისა და მოგზაურობათა მსოფლიო საბჭო (WTTC), აზიისა და წყნარი ოკეანის ტურისტული ასოციაციის (PATA), ევროპის სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების ეროვნულ ასოციაციათა კონფედერაციის (HOTREC), სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (OITS-ISTO), ტურიზმის დარგში მოღვაწე ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაცია (FIJET) და ხელმისაწვდომი ტურიზმის ევროპული ქსელის (ENAT) დოკუმენტები.

კვლევის წარმოებისას გამოყენებულია ლოგიკური ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების მეთოდები.

ზოგადი ხასიათის მსოფლიო საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების მიზნები და ამოცანებია:

- მსოფლიო ტურიზმის განვითარების მიმართულებათა განსაზღვრა;
- ტურიზმის ზრდასა და განვითარებასთან დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტა;
- თავიანთი წევრი ქვეყნების პრაქტიკული დახმარება ამ სახელმწიფოების ეროვნული ტურიზმის პრომოუშენსა და განვითარებაში.

ამ ორგანიზაციათა მიზნებსა და ამოცანებს შორის არის ტურიზმთან და ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, გარემოს დაცვა, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნება, ხალხთა შორის მშვიდობის, ურთიერთგაგების, პატივისცემისა და ტოლერანტობის ხელშეწყობა.

ამჟამად არსებობს სხვადასხვაგვარი დონისა და პროფილის მქონე 200-ზე მეტი საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაცია. ესაა ასოციაციები და ასოციაციების ჯგუფები, კავშირები და გაერთიანებები, ფედერაციები და კომიტეტები, კომისიები და საბჭოები, ცენტრები და ინსტიტუტები, აგრეთვე - ქსელები.

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

1) ზოგადი ხასიათის მსოფლიო ორგანიზაციები;
2) დარგობრივი ხასიათის მსოფლიო ორგანიზაციები;
3) ზოგადი ხასიათის რეგიონული ორგანიზაციები;
4) დარგობრივი ხასიათის რეგიონული ორგანიზაციები;
5) სპეციალიზებული ორგანიზაციები;
6) საგანგებო ორგანიზაციები.

ზოგადი ხასიათის მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციებს მიეკუთვნება: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (WTO)[1], ტურიზმისა და მოგზაურობათა მსოფლიო საბჭო (WTTC), საერთაშორისო ტურისტული ალიანსი და სხვები. ტურისტული ბიზნესისა და მეწარმეობის სფეროში მოქმედებენ ისეთი მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა ტურისტულ სააგენტოთა მსოფლიო ფედერაცია, ტურისტულ სააგენტოთა ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია და სხვა მსგავსი ორგანიზაციები.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის უპირველესი ამოცანებია:

- თანამშრომლობა განვითარებისათვის, ე.ი. ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება მსოფლიოს ქვეყნებისა და რეგიონების განვითარების მიზნით;
- შრომითი რესურსების განვითარება, ე.ი. ტურისტული კადრების განათლების ხარისხისა და პროფესიული მომზადების სრულყოფა;
- გარემო და დაგეგმვა, ე.ი. გარემოს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა დაგეგმვა, დამუშავება და რეალიზაცია;
- ტურიზმის განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა, ე.ი. ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლება და ტურისტულ მომსახურებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სტატისტიკა და მარკეტინგული კვლევები, ესე იგი, ტურისტული ბაზრის შესწავლა; სტატისტიკური მონაცემების შეკრება, ანალიზი და სისტემატიზაცია;
- მსოფლიოში ტურიზმის განვითარების პროგნოზირება;
- კომუნიკაცია და დოკუმენტაცია, ე.ი. ტურიზმის განვითარებაში მონაწილე ქვეყნებისა და რეგიონების კავშირთა უზრუნველყოფა;
- ტურისტული დოკუმენტაციის დამუშავება და გავრცელება.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პრიორიტეტულ ამოცანას სადღეისოდ წარმოადგენს პასუხისმგებელი, მდგრადი და უნივერსალურად ხელმისაწვდომი ტურიზმის პრომოუშენი ტურიზმის ქარტიის, ტურისტის კოდექსისა და ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსის შესაბამისად.

დარგობრივი ხასიათის მსოფლიო ორგანიზაციებს მიეკუთვნება იმ ჟურნალისტთა ასოციაცია, რომლებიც ტურიზმის შესახებ წერენ, დოკუმენტაციისა და ინფორმაციის საერთაშორისო ასოციაცია კულტურისა და ტურიზმის სფეროში, ტურიზმში პროფესიული განსწავლის მსოფლიო ასოციაცია, სასტუმროთა ბიზნესის ევროპული ასოციაცია, ტურიზმის სამეცნიერო ექსპერტთა საერთაშორისო ასოციაცია, გიდების საერთაშორისო კლუბი, ბუნებისა და რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი და მრავალი სხვა ორგანიზაცია.

მსოფლიოს საერთაშორისო ტურისტული დარგობრივი ხასიათის ორგანიზაციების წინაშე დგას მიზნები და ამოცანები, რომლებიც უკავშირდება ტურიზმის სფეროში თავიანთი დარგის განვითარების ტენდენციებისა და განვითარების გზების განსაზღვრას, ტურისტული დარგის სხვა სექტორების ორგანიზაციებთან დარგის საწარმოთა თანამშრომლობს კოორდინაციას, მომსახურების ხარისხის ერთიანი დარგობრივი ნორმებისა და სტანდარტების შემუშავებას, თავიანთი დარგის განვითარების პრობლემათა გადაწყვეტას.

დარგობრივი ხასიათის ერთ-ერთ წამყვან მსოფლიო საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (International Air Traffic Association - IATA).[2]

IATA -ს ძირითად ამოცანებია:

- საერთაშორისო - განსაკუთრებით, პროფილურ - ორგანიზაციებთან (მაგალითად, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან) თანამშრომლობის განვითარება;
- საერთაშორისო ავიაგადაზიდვების უზრუნველყოფაში მონაწილე ყველა საწარმოს თანამშრომლობის ყველაზე ეფექტიანი გზების განსაზღვრა;
- საერთაშორისო საჰაერო კავშირების მოწესრიგება;
- ავიაოპერაციების უსაფრთხოებისა და საიმედოობის ტექნიკური ღონისძიებების უზრუნველყოფა. ტერორიზმის საშიშროების, მგზავრთა ტრავმებისა და სიკვდილის, ბაგაჟის დაზიანებისა და დაკარგვის თავიდან აცილება;
- გადაზიდვისა და მომსახურების პრაქტიკის ზოგადი საერთაშორისო წესებისა და პროცედურების შემუშავება და გავრცელება;
- საჰაერო ნავიგაციის, აეროპორტთა ინფრასტრუქტურის, მგზაცრთა მომსახურების (გაფრენამდე და თვითმფრინავზე), ერთიანი მაღალი სტანდარტების შემუშავება, დოკუმენტაციის სტანდარტიზაცია;
- მგზავრთა საჰაერო გადაყვანაზე ერთიანი საერთაშორისო ტარიფების დაწესება;
- კომერციული ავიაგადაზიდვების პრობლემათა შესწავლა და გადაწყვეტა, ისეთებისა, როგორებიცაა ავიაგადამზიდების კონკურენციის საკითხთა დარეგულირება, მოთხოვნისა და მიწოდების გაფართოება ავიაკომპანიების მოტივაციური პროგრამების საშუალებით, თვითმფრინავთა პარკის მოდერნიზაცია, მომსახურების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

IATA ეწევა ტრენინგულ საქმიანობას,უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ორგანიზებას საერთაშორისო ავიადარგის პერსონალისთვის და გამუდმებით აფართოებს მათ ნუსხას. ორგანიზაციის სასწავლო პორტფოლიოში დღეს არის კურსები ავიაკომპანიების, ავიაპორტების პერსონალისთვის, ტვირთგადაზიდვის ოპერატორებისთვის, ადმინისტრაციებისთვის, სახმელეთო მომსახურების პროვაიდერებისთვის, ტურაგენტებისთვის. კურსების გარდა,IATA მსურველებს სთავაზობს სადიპლომო სწავლებას და IATA-ს პროგრამებს.

ზოგადი ხასიათის რეგიონული ორგანიზაციებიდან ყველაზე დამახასიათებელსა და წარმომადგენლობითს წარმოადგენს აზიისა და წყნარი ოკეანის ტურისტული ასოციაცია (PATA)[3]. ესაა არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 80-ზე მეტ სახელმწიფო და მუნიციპალურ ტურიასტულ ადმინისტრაციას, დაახლოებით 50 საერთაშორისო ავიაკომპანიას, აეროპორტსა და კრუიზულ კომოანიას, აგრეთვე - აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ტურისტული დარგის 2000-ზე მეტ კომპანიას. PATA-ს შტაბ-ბინა განლაგებულია ქ. ბანგკოკში(ტაილანდი).

PATA -ს მიზანია - ხელი შეუწყოს ტურიზმისა და მოგზაურობების ხარისხის მდგრად ზრდასა და ამაღლებას რეგიონის ქვეყნებში მარკეტინგული ღონისძიებების, კომუნიკაციების, კავშირებისა და პრომოუშენის სისტემისა

და PATA-ს წევრობის საშუალებით. სადღეისოდ პრიორიტეტები PATA-ს საქმიანობაში უკავშირდება მდგრადი და პასუხისმგებელი ტურიზმის განვითარებას.

ევროპის სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების ეროვნულ ასოციაციათა კონფედერაცია (HOTREC)[4] – დარგობრივი ხასიათის ერთ-ერთი ტიპური რეგიონული ორგანიზაციაა . HOTREC-ი არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც სადღეისოდ წარმოადგენს სტუმართმოყვარეობის დარგის (სასტუმროების, რესტორნების, კაფეებისა და სხვა მსგავსი საწარმოების) 44 ეროვნული ასოციაციის ინტერესებს 27 ქვეყნიდან. HOTREC-ის შტაბ-ბინა განლაგებულია ქ. ბრიუსელში (ბელგია).

HOTREC-ი განსაზღვრავს თავის მთავარ მიზანს ორი მიმართულებით:

1) სტუმართმოყვარეობის ევროპული დარგის ინტერესების დაცვა და პრომოუშენი;
2) ტუმარმასპინძლობის დარგის ეროვნულ ასოციაციათა ურთიერთთანამშრომლობის მაქსიმალური ხელშეწყობა.

სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია (OITS-ISTO)[5] მიეკუთვნება საერთაშორისო სპეციალიზებული ტურისტული ორგანიზაციების რიცხვს. ესაა არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ასოციაციებს, სავაჭრო კავშირებს, კოოპერატიულ გაერთიანებებს, კერძო ორგანიზაციებს, ტურისტულ ადმინისტრაციებს. OITS-ISTO შეიქმნა 1963 წელს და 2011 წლამდე იწოდებოდა სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ბიუროდ. OITS-ISTO-ს შტაბ-ბინა ქ. ბრიუსელშია (ბელგია).

OITS-ISTO–ს მიზანია სოციალური ტურიზმის ორგანიზაციისა და პრომოუშენის ხელშეწყობა, აგრეთვე იმის მიღწევას, რომ ტურიზმი ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიოს მთელი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით - დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისათვის.

ტურიზმთან დაკავშირებული საგანგებო საერთაშორისო ორგანიზაციების მიზნები და ამოიცანები განისაზღვრება მათი განსაკუთრებული ფუნქციებითა და კომპეტენციით.

ამგვარი ორგანიზაციაა ტურიზმის სფეროში მოღვაწე ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაცია (FIJET)[6]. მას აქვს კონსულტაციური სტატუსი იუნესკოსთან და არის OITS-ISTO-ს შემოერთებული წევრი. ფედერაციის ძირითადი მიზანია იმ ჟურნალისტთა და მწერალთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა, რომლებიც წერენ საერთაშორისო ტურიზმისა და მოგზაურობების შესახებ.

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ეპოქაში ტურიზმისა და მოგზაურობათა სფეროში წარმომადგენლობის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ქსელები, როგორც ინტერნეტ-სივრცეში გაერთიანებებისა და ალიანსების ქსელური ფორმები. ასეთი ქსელია ENAT-ი (ხელმისაწვდომი ტურიზმის ევროპული ქსელი, ინგლ. European Network for Accessible Tourism)[7] - არაკომერციული ორგანიზაციების ასოციაცია, რომლის მიზანია კვლევა, პრომოუშენი და პრაქტიკული საქმიანობა ხელმისაწვდომი ტურიზმის სფეროში.

დასკვნები

ტურიზმის პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის. განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით განვითარებად ქვეყნებს არ გააჩნიათ საკმარისი საფინანსო სახსრები ტურიზმის განვითარების აქტიური პოლიტიკის გატარებისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება ტურისტული პროდუქტების პრომოუშენსა და რეკლამირებას საერთაშორისო და ზოგ შემთხვევაში ნაციონალურ ბაზრებზეც (სადაც ამის აუცილებლობა არსებობს). ამდენად განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია ერთიანი ტურისტული სივრცის განვითარებისა და რეგულირების საერთაშორისო წესებისა და სტანდარტების ჩამოყალიბება და მათი მოქმედების მხარდაჭერა მსოფლიოში.

მსოფლიოს საერთაშორისო ტურისტული ზოგადი და დარგობრივი ხასიათის ორგანიზაციების წინაშე დგას მიზნები და ამოცანები, რომლებიც უკავშირდება ტურიზმის სფეროში თავიანთი დარგის განვითარების ტენდენციებისა და განვითარების გზების განსაზღვრას, ტურისტული დარგის სხვა სექტორების ორგანიზაციებთან დარგის საწარმოთა თანამშრომლობს კოორდინაციას, მომსახურების ხარისხის ერთიანი დარგობრივი ნორმებისა და სტანდარტების შემუშავებას,დარგის განვითარების პრობლემათა გადასაწყვეტად.

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების მიერ ტარდება ისეთი ძირითადი ღონისძიებები, როგორებიცაა სამეცნიერო კონგრესები და სიმპოზიუმები, ასამბლეები, ფორუმები, პრაქტიკული კონფერენციები, შეხვედრები, სემინარები, ვორკშოპები, მასტერ-კლასები, თემატური კამპანიები, დეკადები, დღეები, მიზნობრივი პროექტები. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ხელს უწყობს მსოფლიოში მშვიდობას, განვითარებასა და პროგრესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www2.unwto.org/content/who-we-are-0
2. http://www.iata.org/Pages/default.aspx
3. https://www.pata.org/about-pata/
4. http://www.hotrec.eu /
5. http://www.oits-isto.org /
6. http://www.fijet.net/
7. http:// www.accessibletourism.org/?i=enat.en.about

მონოგრაფიები:

1. მეტრეველი მ., (2011). ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. თბილისი.
2. მეტრეველი მ., (2012). ტურიზმის ბიზნესი თბილისი.
3. მეტრეველი მ., (2012). ტურიზმის ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.

ДЕЯТЕЛЬНОСТЬ МЕЖДУНАРОДНЫХ, МЕЖПРОВИТЕЛЬСТВЕННЫХ И НЕПРОВИТЕЛЬСТВЕННЫХ ОРГАНИЗАЦИЙ ПРОВОДИМЫХ ПОЛИТИКУ ТУРИЗМА

Резюме

В работе представлены общие и отраслевые, региональные и международные организации а также специализированные и чрезвычайные организации которые образовывают туристическое пространство. Дана характеристика целей, задач и сфер деятельности таких организаций как международная туристическая организация (UNWTO), международная ассоциация воздушного транспорта (International Air Traffic Association – IATA), туристическая ассоциация Азии и Тихого Океана (PATA), федерация национальных ассоциаций гостиниц, ресторанов и кафе ЕС (HOTREC),

международная организация социального туризма (OITS-ISTO), международная федерация журналистов пишущих о туризме (FIJET) и Европейская сеть доступного туризма (ENAT).

На основании исследования сделаны выводы существенным из которых являетсья повышение роли участия развивающихся стран в международных туристических организациях для содействия развитию туристической отросли. В увеличении местных и международных туристических потоков значимую роль начали играть специализированные и чрезвычайные туристические организации.

Ключевые слова: Международная туристическая организация, международная ассоциация воздушного транспорта, туристическая ассоциация Азии и Тихого Океана, федерация национальных ассоциаций гостиниц, ресторанов и кафе ЕС, международная организация социального туризма , международная федерация журналистов пишущих о туризме, политика туризма.

ACTIVITIES OF INTERNATIONAL, INTERGOVERNMENTAL AND NON-GOVERNMENTAL ORGANIZATIONS CONDUCTIVE TOURISM POLICY

Summary

The paper presents the general and sectoral, regional and international organizations as well as specialized and emergency organizations which constitute the tourist space. The article gives the characteristic of the goals, objectives and activities of such organizations as the International Tourism Organization (UNWTO), International Air Transport Association (International Air Traffic Association - IATA), Tourism Association of Asia and the Pacific (PATA), a federation of national associations of hotels, restaurants and cafes of the EU (HOTREC),

International Organization of Social Tourism (OITS-ISTO), the International Federation of Journalists writing about tourism (FIJET) and the European Network for Accessible Tourism (ENAT).

Based on the research findings it is important to enhance the role of developing countries' participation in international tourism organizations to promote tourism. Special and extraordinary tourism organizations have begun to play a significant role in increasing local and international tourist flows.

Keywords: UNWTO, IATA, PATA, HOTREC, OITS-ISTO, FIJET, tourism policy.